გაზეთის ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებ'ში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონისა ... რვა კაპეიკი.



## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

ქართული თეატრი

კვირას, 28 ნოემბერს,

ქ. გაბუნია-ცაგარლისა და ბბ. ალ.-მესხიშვილის და ყიფიანის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ

წარმოდგენილი იქნება:

I

**ყაჩაღები**

დრ. 5 მოქ. შილლერისა, თარ. ავალიშვილისა

II

**ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ**

კომ. 1 მოქ., თ. რ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებენ: გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, მაქსიმიძისა და სხ., ბბ. მესხიშვილი, ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ

**ვკისრულობ**

ყოველ გვარ **სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმე-**

**ებს** სახელმწიფო დაწესებულებანში საწარმოებლად, ვწერ ყოველ გვარ **არზებს**, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების** ბანკებში **დაგირავებას** და სხ.

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(10—6)


ტფილისი, 27 ნოემბერი.

—

მკითხველი, უეჭველია, მიაქცევდა ყურადღებას ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ ფრიად სასიამოვნო და საყურადღებო ამბავს. მთავარმმართებლის, საბჭოს, სამი დღის ზედი-ზედ განხილვის შემდეგ შეუწყნარებია ბ ნ ტფილისის გუბერნატორის მიერ წარდგენილი პროექტი შესახებ იმისა, რომ, თუ ვინიცობაა თვითეულმა ცალკე სოფლის გლეხთა საზოგადოებამ მოისურვა შეადგინოს სასოფლო-მეურნეობის წარმატებისთვის თანხა, რა რიგითა და წესით უნდა აღსრულდეს და როგორ უნდა მოევლოს ამ საქმეს. ამ საყურადღებო და ჩვენი დაქვეითებულის გლეხის ყოფა-ცხოვრების სულის ჩამდგმელმა პროექტმა პირველი ნაბიჯი უკვე გადასდგა, შეწყნარებულ იქმნა ადგილობრივ მთავრობის მიერ და უეჭველია მიღებულ იქმნება უმაღლესის მთავრობის მიერაც, რომელსაც აქედან გაეგზავნება დასამტკიცებლად.

ეს ბრწყინვალე საქმე, როგორც ეხსომება მკითხველს, სულ სამი წელიწადია, რაც დაიწყო და ისეთი სამაგალითო ნაყოფი მოიტანა უკვე, რომ მომეტებულის წარმოდგენა გონების თვალით ძნელიც არის. ჩვენმა გლეხობამ, უქონლობით შევიწროებულმა, ამ სამის წლის განმავლობაში, შეადგინა თანხა, ფულით და პურით, თითქმის ერთ მილიონამდე. მერე შეადგინა ისე, რომ არც-კი არაფერი შეუტყვია. აბა რას დააკლებს თუნდ გაჭირვებულ ოჯახსაც, რომ წელიწადში სულზე გაიღოს ოც-ოცი გირვანქა ხორბალი, ისიც შემოდგომაზე, როცა ყოველი გლეხი გულ-უხვია, და თითქმის უანგარიშოთ აძლევს ღვთის მოცემულ დოვლათს ყველას, ვინც-კი ხელს ... ზღვა ქანება შეგროვდა და შემდეგში ერთი ასად, ათასად, მილიონებად გადიქცევა ეს თანხა.

ამ საერთო თანხამ უნდა წამალი მოუძებნოს სოფლის მრავალ გვარ საჭიროებას, სოფელი ფეხზე უნდა წამოაყენოს, წელში გამართოს, ზურგი გაუმაგროს და თავის თავის ბატონი თვითონვე გახდეს. იმითი სოფელი მოისაჭიროებს რაც-კი სოფელს აკლია: იყიდის მამულს, ტყეს, გაიჩენს კაი ჯიშის საქონელს, სამეურნეო იარაღს, გაიკეთებს მშვენიერ გზებს, წისქვილებს, გაიყვანს არხებს, დამართავს სკოლებს, საავადმყოფოებს, დაიქირავებს ფერშალს, ექიმს, მეურნეობის მცოდნე კაცს, რომ დარიგება მისცეს გლეხობას და საჭირო ცნობები გადასცეს და—რატომ არ უნდა ვიოცნებოთ,—ოდესმე გაიმართავს სახალხო უნივერსიტეტსაც ისე, როგორც შვეციანორვეგიაშია და სხვაგან ევროპაშიც იმართება.

ასეთი ოცნება სრულიადაც არ არის მოკლებული თავის საფუძველს. სამის წლის განმავლობაში არაფრისაგან მილიონის თანხა გაიჩინა ნივთიერად უღონო გლეხობამ, და ამ ათის, ოცის წლის შემდეგ ხომ ათი მილიონიც გახდება, რადგან თანხას სარგებელი ცალკე ეძლევა და ყოველ წლიური გალება ოც-ოცი გირვანქა პურისა კიდევ სხვაა.

საქმე ისეთ სწორე გზაზეა დაყენებული და ისე გონივრულად მოწყობილი, რომ სამეურნეო თანხა უნდა იზრდებოდეს უსაზღვროდ, დაუსრულებლივ.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო და თან გასაოცარი შედეგი ის იქნება, რომ ამ ფულის სარგებლით ჩვენი გლეხი სახელმწიფო ხარჯს გაისტუმრებს და ველარ ვნახამთ, ჩვენ თუ არა, ჩვენი შთამომავლობა ... რათს, როდესაც ჩაფარი მათრახით აწიოკებს და არბევს სოფელს, „ფოსტის ფული და ნედოიმკა“ მოიტანეთო. მაშინ სოფელი ჩაფარს ველარ ჰნახამს, მამასახლისი თავის დროზე მიართმევს სახელმწიფოს მის ხვედრს და შინ არხეინად და ბატონ-კაცურად დაბრუნდება.

მეტად სამწუხაროა დღეს ჩვენი სოფლის ნივთიერი ყოფა-ცხოვრება. სოფელს გაუჭირდა ცხოვრება, ხარჯმა და ბოროჯმა შეაწუხა, დასჩაგრა, წელში მოჰჭლუნა. საქმე იქამდისინ მივიდა, თითოოროლა სოფელი მის მარჩენალ მამულზე უარს ამბობს, წაიღე ... აღარ გვინდა, ოღონდაც „ნედოიმ... იმგებისაგან“ გაგვანთავისუფლე... აღარ შეგვიძლიან მათი გაძღ... ლაო. ამ სამწუხარო გარემ... ბას მთელმა რუსეთის მწერლ... ბამ ყურადღება მიაქცა და ... განცვიფრებას მიეცა, ეს რა ამ... ვიაო?

ის ამბავია, ვიტყვით ჩვენა, რ... სოფელს გაუჭირდა ხარჯის ... ძლოლა და გაჭირვებული კა... მოგეხსენებათ, ყველაფერს მოიქ... დებს.

აი სწორედ ამისთანა გაჭირ... ბულ დროს მტკიცდება ერის ... ინსტანციაში ბ-ნ გუბერნატორ... პროექტი, რომელსაც აზრა... აქვს მაშვრალს შემწეობა გაუ... ნოს. დრო მეტად შერჩეულია ... შესაფერი, უკეთესს ჟამს თავა... შერვაშიძე ვერ ამოარჩევდა თა... სიმპატიურის აზრის განსახო... ციელებლად. მისი პროექტი ... ლის გაწვდენაა წყალში ჩავარ... ნილ კაცისთვის.

ა. ფრონელ...

## ახალი ამბავი

*** ფინანსთა სამინისტროს გა... რახვა აქვს შეიმუშაოს დებულება ... შესახებ იმისა, რომ სახელმწიფო... ბანკმა იკისროს მემამულეთა პუ... გაყიდვა; ჯერ სესხად ფული მის... პურში და შემდეგ გაყიდოს მაზოლთ... დაზედ.

*** მომავალ წლის დამდეგს ში... გან საქმეთა სამინისტროსთან ... რსდ ბა საგანგებო კომისია, რო... ლმაც უნდა განიხილოს საქმენი ... ლოსანთა წოდებისა. ამ საქმის ... სახებ მრავალმა გუბერნატორმა ... წარმოსთქვეს თავისი აზრი: ს... როა გაუქმებულ იქმნას წოდება

---

## ფელეტონი

### საბიბლიგრაფიო წერილი

ლექსნი, თქმულნი მიხეილ გორდაძის-მიერ, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ტფილისი, 1893 წ.

ბ ნ მიხეილ გორდაძის ლექსთა კრების ყდაზედ მოყვანილია შემდეგი ლექსი განსვენებულ ი. დავითაშვილისა:

მ. გორდაძეს.

კარგს აქებ, ცუდსა აძაგებ, მაკიცხავი ხარ მოდისა,
არ დამირიდო, მუშა ვარ, ნება მომეცი ცნობისა,
მიცან და ერთად შევებათ ახალ ცხოვრების უღელში,
«მე» მოვსპოთ, „ჩვენა“ ვიხმაროთ, მით მოძმეს მივსცეთ ნუგეში.

დიდს საგონებელში ჩაგვაგდო ამ უცნაურმა სტრიქონებმა და დღემდე ვერ გაგვიგია, რა ადგილი უნდა ჰქონდეთ მათ ბ-ნ გორდაძის წიგნზედ. უეჭველია, ამ ლექსის მოყვანით ავტორს უნდოდა ეთქვა მკითხველისთვის, რომ იგი ავტორი მუშა კაცია და თანაც ისეთი მუშა, რომელსაც თვით განსვენებული დავითაშვილი ეხვეწება—გავიცნოთ ერთმანერთი და ერთად შევებათ „ახალ ცხოვრების უღელში“, რადგან შენ უბრალო ვინმე-კი არა ხარ, არამედ ისეთი კაცი ხარ, რომ შენს ნაწერებში „კარგს აქებ, ცუდსა აძაგებ, მაკიცხავი ხარ მოდისო“. ვსთქვათ, მართლაც მუშა არის ჩვენი პოეტი, ისიც დავუჯეროთ დავითაშვილს, რომ ბ-ნი მიხეილ გორდაძე მართლა კარგს აქებს, ცუდსა აძაგებს და მაკიცხავია მოდისა, მერე რაო ახლა? მაშ ცუდი უნდა ექო და კარგი-კი ეძაგებინა? კარგის ქება და ცუდის ძაგება ისეთი რა განსაკუთრებული თვისებაა, რომ მარტო ბ-ნ მიხეილ გორდაძის ლექსებს მიაწეროთ და ყველა სხვა პოეტის, ბელეტრისტის, ლიტერატორის და სხვების ნაწერებს-კი ჩამოაცალოთ? დავითაშვილის-მიერ ჩამოთვლილ ღირსებათაგან ბ-ნს მიხეილ გორდაძეს იქმნება მხოლოდ ერთი ღირსება-კი შეჰრჩეს ხელში, ეს ისა, რომ იგი გორდაძე „მაკიცხავია მოდისა“. მაგრამ ძნელი ის არის, რომ თვით ეგ ღირსება როგორღაც საეჭვო რჩება. »გამკიცხავი“ რომ ყოფილიყო მოდისა, კიდევ ჰო, ერთი რამ იქნებოდა, თუ არა და „მაკიცხავი“ რაღაც გაუგებარი რამ გამოდის, იქამდე გაუგებარი, რომ კაცს ეგონება, თითქო განსვენებულს ი. დავითაშვილს აზრისთვის-კი არ დაუწერია სიტყვები „მაკიცხავი ხარ მოდისაო“, არამედ იმისთვის, რომ მეორე სტრიქონში რითმა მოჰსვლოდა »ნება მომეცი ცნობისაო“, და რა-კი ამ გაჭირების ტალკვესად გამოსდგომია ეს სიტყვები, ამისთანა შემთხვევაში გინდ „მაკიცხავი“ ყოფილიყო, გინდ ამკიცხავი, გინდ დამკიცხავი, გინდ ჩამკიცხავი,—ყოველ შემთხვევაში ბ-ნ მიხეილ გორდაძის ეს ერთად ერთი განსაკუთრებული ღირსება მაინც ყოვლად საეჭვო რამ იქმნებოდა და მის მიერ თქმულ ლექსებს მაგდენს ვერაფერს შეჰმატებდა, ვერც დასახასიათებლად, ვერც ასახსნელად, ვერც გამოსარკვევად.

მაშ რას გვეუბნება ჩვენი პოეტი განსვენებულ დავითაშვილის ლექსით?—ამისას მე ვერას მოგახსენებთ. იგი შეადგენს ჩვენის პოეტის საიდუმლოს, და ამიტომ ნულარ ჩავაცივდებით. იქმნება როდისმე თვითონ აგვიხილოს თვალი და ჩაგვაგონოს, რადგან იმედია, ამ პატარა წიგნზედ არ გაჩერდება ბ-ნ მიხეილ გორდაძის მუზა. ეს იმედი მით უფრო საფუძვლიანია, რომ ამ წიგნში დაბეჭდილ არიან ლექსნი, თქმულნი 1880 წლიდგან ვიდრე 1888 წლამდე, და ჩვენ ხომ დღეს 1893 წელში ვდგევართ. უეჭველია, კვლავაც მოჰხედავს ბ-ნი მიხეილ გორდაძე ჩვენს ღარიბ მწერლობას თავის მოწყალე თვალით და გაგვაბედნიერებს ახალის წიგნით, სადაც იგი, ჩაბმული »ახალ ცხოვრების უღელში“, მოსპობს „მეს“, იხმარს „ჩვენას“ და ამით ძრიელ დიდს ნუგეშს მისცემს ჩვენთა მოძმე... რომელნიც დღეს თურმე საშინლ... იტანჯებიან, რომ »ჩვენას« მაგ... „მესა“ ხმარობენ ლაპარაკში თუ ... რაში.

**

რამდენადაც ჩვენთვის უცნაუ... და გაუგებარია მოყვანილი ეპიგრ... იმდენად და იქნება უფრო მეტად ... უცნაური და გაუგებარია თით... ყოველი ლექსი ბ-ნ მიხელ გორ... ძისა, ჩვენთვისვე, რასაკვირველია; ... რმე ზოგიერთათვის უთუოდ ა... უცნაურია და ძლიერ გასაგებ...

მაინც ჩვენში პოეტის სახელ... ამკობენ ყველას, ვინც სტრიქონ... რითმებზედ ჩაამწკრივებს. ოღო... რითმა-კი იყოს, და ვინ დაგიდ... ან ლექსის აზრს, ან მაღალს გრძ... ბას, ურომლოთაც პოეზია იგი... რაც გაზაფხული უვარდოთა ... უბულბულოთ, ან წარმტაც სურ... და ან სხვა ფერადს სამკაულს, ... მელიც უნდა ყოველთვის წინაუ... ბოდეს რითმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსანთა, ხოლო ამქრობა-კი უნდა დარჩეს და ამქრობის საქმე რაც შეიძლება კარგად მოეწყოს.

*** დაიბეჭდა ახალი ინსტრუქცია კავკასიაში ნავთის წარმოების ყურის მგდებელ მოხელეთათვის. გარდა ამისა გამოცემულია სატეხნიკო დებულებანი, რომელთა ასრულებას მოვალენი არიან ნავთის-მწარმოებელნი.

*** დღეს, 27 ნოემბერს, ავლაბრის სამოქალაქო სამ-კლასიან სკოლაში დანიშნულია საგანგებო გაკვეთილები, რომლებზედაც მიწვეულნი არიან ტფილისის პირველ დასაწყის სკოლების მასწავლებლები. გაკვეთილების შემდეგ კრება მასწავლებელთა საერო სკოლების დირექტორის ბ-ნ დარსკის თავმჯდომარეობით გაარჩევს ამ გაკვეთილებ და აგრეთვე განიხილავს ზოგიერთს საგანს სკოლების საქმის უკეთესად მოწყობის შესახებ.

*** ბაქოს გუბერნატორს ცირკულიარი გამოუცია, რომლითაც აკრძალულია თოფ-დამბაჩის ყიდვა-გაყიდვა, გუბერნატორის კანცელარიის უმოწმობოთ. ამავე ცირკულიარით აკრძალულია ტარება ყველანაირ იარაღისა: რევოლვერისა, ხანჯლისა და სხ. იარაღის ტარება მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც მოწმობა მიეცემა ადმინისტრაციისაგან, თუ საჭიროდ დაინახა.

*** გაზეთი «Бирж. Вѣд.» იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ საბჭოს განსახილველად მოხსენებას შესახებ იმისა, რომ კავკასიაში დაბოლოვებით მოეწყოს სამხედრო-საერო მმართველობანი, თუმცა ამ საქმისთვის საჭირო ფული მხოლოდ ერთ 1884 წლისთვის ყოფილა გადადებული. ამასთანავე საბჭო განიხილავს, განთავისუფლებულ იქმნას თუ არა სახელმწიფო ხაზინა იმ ხარჯისაგან, რომელიც ყოველ წლივ აქვს მუსულმანთა სამღვდელოების შენახვაზედ ამიერ კავკასიაში. ამ საქმისთვის საჭირო ფულის ხარჯვა გადაწყვეტილი იყო 1872 წელს, ხოლო დროებით-კი, ვიდრე გამოირკვეოდა, რა შემოსავალი აქვს სახელმწიფოს მუსულმანთა სამღვდელოების ქონებიდგან.

## დამაკვირდი

—

ჩვენი ყური ქებისათვის განიერად გაღებული კარია, მართალისათვის ნემსის ყუნწი.

**

ზარმაცისათვის დრო და ჟამიც ზარმაცად მიმდინარეობს.

ალახარიზი.

**

შიშსა და იმედს მოკლებული სიყვარული იგივეა, რაც აუნთებელი და უზეთო ლამპარი.

## ნაწყვეტები

ნუ შეტრფი ქალწულს, ჭაბუკო,
ნუ ამბობ: შემიყვარეო;
ჯერ მიჩვენე-რამ გმირობა,
ქვეყანა ანეტარეო,
დაჩაგრულ მოძმეს უშველე,
სიცოცხლე გაიმწარეო,
და მერე ჩემი მშვენება
მალამოდ მოიხმარეო.

დ. მაჩხანელი

## კორესპონდენცია

—

**თელავი**, 25 ნოემბერი. კვირას, 22 ნოემბერს, აქაურმა სცენის მოყვარულებმა გამართეს ქართულ-რუსულ-სომხური წარმოდგენა თელავის საზოგადო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ.

როგორც საერთოდ ყოველ წიგნთ-საცავი, აგრეთვე თელავისა, რასაკვი-[illegible] სებულებაა და მისი განკარგება და გაუკეთესება, რაღა თქმა უნდა, სასურველია და თანასაგრძნობი. ამ წიგნთ-საცავის დაარსება ძლივ-ძლივობით მოხერხდა. ზოგიერთის მიზეზების გამო ნება-რთვის აღება გაჭიანურდა, თუმცა საზოგადოება ძალიან მოწადინებული იყო ბიბლიოთეკის გამართვას და ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობდა, რომ თავისი სურვილი განეხორციელებინა. დასაწყისში წიგნთ-საცავის საქმე ფრიად კარგად მიდიოდა. მხოლოდ ამ ორისა თუ სამის წლის წინად სულ სხვანაირად დატრიალდა წიგნთ-საცავის ბედ-იღბალი. საზოგადოებამ როგორღაც გული აუცრუვა, წევრთა რიცხვი დღითი-დღე კლებულობდა და წიგნთ-საცავის არსებობა საეჭვო გახდა. ერთი-ორი კაცი თუღა მოიპოვებოდა, რომელნიც იღვწოდნენ იმის საკეთილდღეოდ, მაგრამ, საუბედუროდ, მათმა გულ-მხურვალე მეცადინეობამაც ვერა ჰქნა-რა—არ იქნა ვეღარ დაატრიალა წალმა და უკუღმა მბრუნავი წიგნთ-საცავის ბედის ჩარხი!.. იქამდის გადუხჭირდა წიგნთ-საცავის მდგომარეობა, რომ ამ ჟამად ვალი აწევს, შემოსავალი-კი არავითარი სჩანს, გარდა თავიურ საწევრო გარდასახადისა—30 კ. ეხლა წლიური წევრი სულ 15-ია და თთვიური 30. თუმცა წიგნთ-საცავი წიგნებით მდიდარი არ არის, მაგრამ ყოველ წელს იგი საუკეთესო რუსეთის და კავკასიის ჟურნალ-გაზეთებს იწერს და ამით მკითხველთ გონებრივს საზრდოს აძლევს.

1893 წელი ხსენებულის წიგნთ-საცავისათვის შავ-ბნელი იყო. ზოგიერთის მიზეზის გამო ჟურნალ-გაზეთები მარტამდის ვერ გამოიწერა. ამ გარემოებამ ისეთაც მცირე რიცხვი წევრებისა უფრო შეაცოტავა. თუმცა შემდეგ ჟურნალ-გაზეთებიც მოსდიოდა, მაგრამ ერთხელ გაქსუებული ხალხი ახლოს აღარ მიეკარა.

ერთის სიტყვით, თელავის „საწიგნე“ სწრაფის ნაბიჯით მიდიოდა უკან. ბოლოს, მისდა საბედნიეროდ, ჩვენმა ახალ-გაზადობამ მიაქცია ამ საქმეს თავისი ყურადღება და მოისურვა წიგნთ-საცავის ფეხზედ წამოყენება. ამ აზრით გაიმართა წარმოდგენა და ამ ცდამ არც უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც კვირის წარმოდგენას [illegible] საზოგადოება, ასე რომ წმინდა შემოსავალი 90—100 მანეთამდე იქნება და ეს ფულიკაგაჭირვებულს წიგნ-საცავს დიდს დახმარებას აღმოუჩენს. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „Двѣ гончія по одному слѣду და „Школьная пара“ (რუსულადვე), „ადამ და ევა“, ქართულად და „ხუჩოს ღეღვი“ სომხურად. როლების აღმასრულებელნი ძალიან ეცადნენ ესიამოვნებინათ საზოგადოებისათვის. ნამეტნავად კარგად ჩაიარა „Школьная пара“-ამ. მშვენივრად შეასრულეს თავიანთი როლები ბ-ნმა მარჯანოვმა და მარჯანოვის ასულმა. აგრეთვე კარგად ასრულეს როლები: მამალაძემ და დოდაშვილმა. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა გაიმართა.

იმედია, ჩვენი ახალ-გაზდობა, ჩვეულებისამერ, მალე არ დააცხრობს თავის გულმხურვალე თანაგრძნობას წიგნთ-საცავის მიმართ და ეცდება გააუმჯობესოს ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება!..

კახეთის მოამბე.

## რუსეთი

—

ჯავშნიანი გემი სამი „მამათ-მთავარი“ და ნაღმიანი გემი „გრიდენი“ უკვე მზად არის და ზღვაში ჩაუშვეს კიდეც. გარდა ამისა, სულ მოკლე ხანში შეუდგებიან ახალ გემის გაკეთებას, რომელიც სამ «მამათ-მთავარზედ» უფრო დიდი იქმნება. ამ გემს სახელად დაარქმევენ „პარიზს“. ამ გვარად რუსეთი სცდილობს შავს ზღვაზედ თავისი ფლოტი გააძლიეროს.

—

ამბობენ, რომ მომავალ წლის 1 იანვრიდგან ნიკოლოზისა და ვარშავის რკინის გზებზედ მოსამსახურე ქალები ყველანი დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდგან.

—

გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტის დირექტორის ს. ვ. მორკოვის თავმჯდომარეობით ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს სხვა-და-სხვა ღონისძიებანი ლოთობის მოსასპობად. კომისიას შეადგენენ სხვა-და-სხვა [illegible] წარმომადგენელნი. განზრახვა აქვთ საგუბერნიო ქალაქებში დააარსონ მზრუნველობანი და მიანდონ ყოველ გვარ საშუალების ხმარება ლოთობის მოსასპობად.

—

სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკთან დაარსებულმა კომისიამ შეადგინა პროექტი თავად აზნაურთ უძრავ და მოძრავ მამულების დაზღვევისა ცეცხლისაგან. პროექტი ჯერ სხვა-და-სხვა უწყებებმა უნდა განიხილონ და შემდეგ წარედგინება სახელმწიფო საბჭოს.

—

რუსეთში ყოველ წელიწადს მოდის 800,000-მდე უცხოელი. 1882—1892 წ., ე. ი. ათის წლის განმა
ლობაში რუსეთში გადმოსულა 8
ლიონ კაცამდე უცხოელი, მათ შ
რის 76% ე. ი. ექვს მილიონზ
მეტი გერმანელნი ყოფილან. იმ
დროს განმავლობაში რუსეთიდ
წასულა შვიდ მილიონამდე უცხ
ლი კაცი. როგორც ამ ცნობებიდ
ნა სჩანს, რუსეთში მოდის ყოვ
წელიწადს 100,000 უცხოელი.
ჟამად რუსეთში ხუთ მილიონამ
უცხოელია და მათ შორის ყველ
მომეტებულ ნაწილს გერმანელნი
დგენენ.

## ჟულ სიმონი ლეონ ტოლსტო შესახებ.

უნდა ვუსაყვედურო ბ-ნს ზოლ
რომ სიყვარულიც არ მოიხსენია
საგანთა შორის, რომელიც აწყ
კაცს ბედნიერებას; ვსწუხვარ, რ
ტოლსტოიმ კიდევ უგულებელ
მეცნიერება და შრომა. ბედნიერ
სხვაა და საგანი ცხოვრებისა სხვ
ერთმანეთში არ უნდა ავური
ბედნიერება სამის სიტყვით გამ
თქმის: ცოდნა, შრომა და სიყვა
ლი. ამის თქმა ამერიკის აღმო
არ არის—კეთილი რჩევა-დარიგ
მხოლოდ: ბევრ კარგ წიგნებ
რის წამიკითხავს არისტოტელის «
ტაფისიკის» მეთორმეტე წიგნ
საცა ესევეა ნათქვამი ამ თვრამ
საუკუნის წინად.

ყმაწვილის აღზრდა უნდა
დოს სამს ძლევა-მოსილს ადამ
მღვდელს, მასწავლებელსა და
დას.

ყოველი ჩემი იმედი და სას
უფრო დედაზეა დამყარებული,
ტომ რომ მასწავლებელი ყმაწვ
ხშირად უნერგავს გულში უნდ
ბას სულისას, სკეპტიციზმსა, ხ
მღვდელს არა იშვიათად სდევ
ხოლმე. დედას ცოდნა არა
მაგრამ მპყრობელი-კია ანდერძ
იმდენად ძველისა და საყოველთ
გავრცელებულის ანდერძისა,
შეუძლებელია მის წინაშე პატ
ცემით მუხლი არ მოიდრიკო.
ანდერძი ანდერძია ქრისტეანო
და, ჩემის ფიქრით, ეს გარემ
ოდნავაც არ ასუსტებს მის ძლი
ბას. ღვთაებით არის იგი გამ
ლული. რა ურიგოა! მადლობა
რთსა, რომ ასეა. იგი გვასწა

---

რომელი საგანი გინდათ, რომ ბ-ნი მიხეილ გორდაძე არ ეტანებოდეს. იგი ლექსობს შესახებ გლეხთა, იგი მიჰმართავს მუშებს, იგი უმღერის სამშობლოს, იგი ამხნევებს ჩვენს მოხუც პოეტს თავ. რაფიელ ერისთავს, იგი ლექსით ამკობს თავ. აკაკი წერეთელს, იგი ებრძვის ბედს, ემუსაიფება მუზას, ერთის სიტყვით, ბ-ნ გორდაძეს თითქმის არა დაუტოვებია-რა, რომ თავის ლექსში არ მოექცია. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ყოველი მისი ნაწარმოები არც აღემატება თავის ღირსებით და არც ჩამოუვარდება თავის ნაკლით თუნდა იმ ლექსს, რომელსაც სახელად ჰქვიან „გლეხი“ და რომელიც ჩვენ მთლად მოგვყავს:

შენ გგონია უტყვი იყოს,
არ იცოდეს არაფერი;
მაგრამ დროის მუნჯი არ-ი!
კარგად იცის ყველაფერი.
არც მუნჯია, არც ყრუ არის,
მარტოდ მიწის მუშა არი;
ებრძვის მიწას, თავსა აკლავს!
მისდის საწყალს ოფლის ღვარი?!
მართალია ბედს უჩივის,
სიღარიბის მონაც არი;
იმით ის გულს არ იტეხავს,
ცუდათ არ ზდის ოფლის ღვარი.
იგი მაშინ დასწყნარდება,
შეეშვება მკლავი, მხარი,
არ დარჩება იმას ყველა,
რაც აქვს ოფლის მონაგარი.
მერმე ადექ, ყურთ ჩასძახე,
დააფრქვიე ცრემლის ღვარი,
სამშობლოსა ნუ ღალატობ!
გაუნათოს თვალთ წინ მკვარი!..
ის ამეებს ვერ შეიტყობს,
არის ბრძოლისგან დამწვარი;
იმა ხეს რა აღაყვავებს,
ძირით იყოს ამომხმარი.

მე მგონია, თვით კოდელ ნინოსაც-კი გაუჭირდება ამ ლექსის ქარაგმათა გაგება. ჩვენ ხომ, რომელნიც გულთმისნობას სრულებით მოკლებულნი ვართ, ვერაფერს ვერ გამოვარკვევთ, გინდაც რომ სულ ოფლის ღვარი ვიდინოთ შუბლზედ ბ-ნ გორდაძის გლეხივით, რომელიც

ებრძვის მიწას, თავსა აკლავს!
მისდის საწყალს ოფლის ღვარი?!

მკითხველმა იცის, რომ ეს გაკვირვებითი და კითხვითი ნიშნები შეადგენენ ხელშეუხებელ საკუთრებას ბ-ნ მიხეილ გორდაძისას და ამიტომ მათს უადგილობას ჩვენ არ დაგვწამებენ. მაგრამ რის კითხვითი და გაკვირვებითი ნიშნები! ამისთანა ბუჩუღებისთვის ვინ მოიცლის, როდესაც მიადგება თუნდა მეხუთე მუხლს ამ საკვირველის ლექსისას. რა გინდა, რომ ამ მუხლში არ იყოს: ცრემლის ღვარიო, სამშობლოს ნუ ჰღალატობო, გაუნათოს თვალთ-წინ მკვარიო. ვინ, რად, ვისა, როდის, ვინა გნახა? ერეკლე, თეკლე და ყოველივე, ხილული გინა უხილავი ზეცასა შინა თუ ქვესკნელს.

**

პირველი ორი სამი ლექსი რომ წავიკითხეთ ბ-ნ მიხეილ გორდაძისა, ჩვენ გვეგონა, ალბად „მიზეზთა გამო სხვათა-და-სხვათა“ თუ მოხდა, რომ ამ ლექსებში არც აზრი მოიძებნება, არც პოეზია, არც მართლ-წერა, არც რიგიანი რითმა. სწორედ მოგახსენოთ, კიდეც შეგვეცოდა პოეტი, რომ მის ნიჭს ასე უწყალოდ სჩაგრავს ერთგვარი მელანი. მაგრამ როდესაც ერთმანერთზედ გადავიკითხეთ მთელი მისი ქნარი, ჩავუკვირდით ზოგს ლექსს ორჯერა და სამჯერაც, ეგებ ან თავი გავუგოთ, ან ბოლოვო, ერთის სიტყვით, როდესაც მართლა უნაკლულოდ გავიცანით მისი ჰანგი და ჩანგი, მაშინ-კი გარეშე მიზეზებიდგან თვალი უნებლიედ გადავიდა შინაგან მიზეზებზედ და აქ კი, ნურას უკაცრავად, გამამართლებელი საბუთი ვერა ვუპოვეთ-რა ამ უცნაურის კრებულის დაბეჭვდას.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ჩვენის ავტორის ლექსებში უმეშავნია მხოლოდ შინაგან მიზეზებს და რომ მას გარეშე ძალა ვერ დააწერინებდა იმისთანა ლექსებს, რომლებიც შეკრებილია ამ წიგნში, ჩვენ მოვიყვანთ უნაკლულოდ კიდევ ერთს ლექსს, სათაურით „მუზას“!

რას ვუმღეროთ ჩემო მუზავ,
ნუ თუ სოფლის ცრუ მშვენებას,
წარსულ-აწყო, ცრუ იმედებს,
თუ ამ ახალ მანქანებას?!
შენ არ იცი, რომ ჩვენს მღე
ცრუ სოფელი არ უგდებს ყურს
ჩვენი მღერა და სიცილი
იმათ ყველა თვითოთა შურს!
აკი გვითხრეს ცრუ სოფელზე
ნუ ენდობით ნუ სცემთ ხმასო,
თორემ ნახავთ, მოტყუებულთ
სითაც უნდა გიზავთ თავსო.
მეც მას აქეთ იმის საქმე
არას ფერი არა მჯერა!
თუ მაყვედრის ისიც ამხსნას
რაც მან ბედი დამაკვრა.
ჩემო მუზავ ის ვიმღეროთ,
რაც რომ დასძლევს ბოროტებას,
და იმით ნუ შევშინდებით,
სოფელი გვიძს მანქანებას!..

როგორა გგონია, მკითხველო,
სთანა ლექსის დამწერი რამდე
უნდა შემცდარი იყოს, როდ
ჰფიქრობდეს, ვითომც მას თავისი
ზაც ჰყავს, ემუსაიფება კიდეც
იწვევს ბოროტების დასათრგუ
თქვენი არ ვიცი, და ჩემის აზრი
ბ-ნი მიხეილ გორდაძე ტყუ
ამოიღამებს თვალებს მუზას ლო
ში—იგინი ერთმანერთს ვერსა
ხვდებიან ამ შეუბრალებელ და
სოფელში.

სტ. ჭრელაშვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა-გარჯასა და არა მგონია შევკრბეთ ოდესმე მის საწინააღმდეგოდ, მღაღადებელნი ამისა: მეტის-მეტად ვშრომობთ და ვიღწვითო. იგივე გვასწავებს, ვითარ უნდა სიყვარული, იმიტომ რომ თვით არსებაა მისი ასეთი. ძველის-ძველი სიბრძნეა და, ტოლსტოის აზრით, თვრამეტი საუკუნე იქმნება, რაც არსებობს. სწორედ მოგახსენოთ, ისევე ძველია, როგორც ქვეყანა. ფიქრად მომდის თითქო, რომ იგი ღვთის-მცნებათა მორალია; ვშიშობ მხოლოდ, რომ ვითა ღვთის მცნებასა, სრული მორჩილებაც უნდა და არ იშვნევს განსჯა გაკითხვასა. ჭკუის ძალ-დამტანებელნი ბრძანებენ, ეგ უკან-სვლაა, რეგრესიაო, მე-კი ვამბობ, რომ დიდებული და სამხიარულო ნაბიჯის გადადგმაა წინ. კაცობრიობამ უნდა დაიახლოვოს, რაც საუკუნოა, და განაახლოს, აღადგინოს მორალი და მოძღვრება ჩვენთა მამა-პაპათა.

## პროფესორის ერბის სიტყვა ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში.

ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის წლიურ კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა პროფესორმა ერბმა. პროფესორი მეტად საყურადღებო საგანს შეეხო—ადამიანის გრძნობიერობას.

რადგანაც ადამიანის გრძნობა უმთავრესი ძარღვია ადამიანის სიცოცხლისაო,—ასე დაიწყო სიტყვა პროფესორმა,—ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ყველა გარეგან საგნებსა და ყველა ამბავს დიდი ზედგავლენა აქვს გრძნობაზე. დიდად შესამჩნევ ცვლილებათ საპოლიტიკო და საზოგადო ცხოვრებაში, სარწმუნოებისა და საეკონომიო კრიზისებს, მეცნიერებისა და ხელოვნების ცვლილებათ, ერთის სიტყვით, ჩვენის დროის მთელს კულტურას დიდი ზედგავლენა უნდა ჰქონოდა ადამიანის გრძნობასა და გონებაზედ. მოულოდნელი და საკვირველი ცვლილება უეჭველია შეარყევს ადამიანის გრძნობას. ყველაზედ მეტად ჩვენ დროში გავრცელებულია შემდეგი ავადმყოფობა გრძნობისა და სულისა. ეს ავადმყოფობა მრავალ გვარია და თითოეულს მათგანს სხვა-და-სხვა სახელები ეწოდება: ისტერია, ნევრასტენია და სხვ.

მათ შორის ნევრასტენია უფრო განათლებულ და კეთილშობილ კაცთა ავადმყოფობაა. ეხლანდელ კულტურულ და განათლებულ დროს ცხოვრება გაცილებით მძიმე ტვირთია განათლებულ კაცისთვის, ვიდრე პირვანდელ დროს იყო. მოთხოვნილება ცხოვრებისა მრავალ კეცია და ადამიანის მოთხოვნილებაც სწორედ ამ მიზეზის გამო მრავალკეცდება. ბრძოლა არსებობისთვის გამწვავდა; გაძნელდა და მოითხოვს ადამიანის ჭკუა-გონებისაგან მომეტებულს გარჯას და შრომას.

პროფესორი ერბი დიდს ბრალსა სდებს აწინდელ სკოლებს და განსაკუთრებით გიმნაზიებს, ეს სკოლები ბავშვის გრძნობიერობას ამახინჯებენო. ეხლა ბავშვის სიცოცხლეც-კი მოწამლულია გარდამეტებულ მოთხოვნილებით. საშუალო სასწავლებლების პროგრამმა გაცილებით მეტსა სთხოვს ბავშვსა, ვიდრე მის ძალღონეს და გონებას მოეთხოვება. ეხლანდელი მასწავლებელნი ახალგაზდობისა პედაგოგები-კი არ არიან, არამედ ფილოლოგები, რომელნიც სრულიად არ აქცევენ ყურადღებას ბავშვის გრძნობას; ბავშვისთვის უფრო საჭიროა, რომ შრომას რაც შეიძლება ხშირად მოსდევდეს დასვენება, გონების ვარჯიშობას—ფიზიკური ვარჯიშობა. გრძნობის ჰიგიენა—უსაჭიროესი მეცნიერება უნდა იყოს პედაგოგიკისთვის და აწინდელი სკოლა მხოლოდ მაშინ აღარ დაასუსტებს ბავშვის აგებულებას, როცა ისე იქმნება მოწყობილი, როგორც მეცნიერება მოითხოვს.

სრულ წლოვან ადამიანზედაც-კი ეხლანდელი მოწყობილება ცხოვრებისა მეტად მოქმედობს, ვიდრე უწინდელ დროს მოქმედობდა. მეცნიერების შესწავლა მეტად გაძნელდა, რადგანაც საჭიროა აუარებელ ცნობათა შესწავლა და გაგება; პოლიტიკაში გამწვავებული ბრძოლაა; მუსიკა მეტად ხმიანია; მხატვრობა მეტად ბნელია, მგლოვიარე. რაც უწინ გრძნობას ამშვიდებდა, ეხლა აღელვებს. ავადმყოფობა გრძნობისა მუშათა შორისაც-კი გავრცელდა, რადგანაც ამ ჟამად მუშა კაცს დინჯისა და წყნარის მუშაობის მაგიერ აჩქარებულსა და გაფაციცებულს შრომას სთხოვენ.

მერე შეიძლება დავასკვნათ აქედგან, რომ კაცობრიობა გადაგვარების, გადაჯიშების, ამოწყვეტის გზას დაადგა? პროფესორი ერბი არ ამბობს ამას. აწინდელ შთამომავლობას უჭირს მხოლოდ ერთს საფეხურზედ ასვლა, ერთის ნაბიჯის გადადგმა. ჯერ მისი გრძნობა ვერ შესთანხმებია მეტად აჩქარებულს და სულ-წასულს სრბოლას ცხოვრების მოედანზედ. მაგრამ იმედია, რომ შეეთანხმება და სოფელიც მოგვცემს ახალსა და საღს ძალ-ღონეს. სასკოლო და საზოგადო გონიერი ჰიგიენა უეჭველია დაეხმარება ამ შეთანხმებას.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პრეზიდენტ კარნოს სახელს ცოტა არ იყოს დიდება მოაკლდა სამინისტროს კრიზისის შემდეგ. გაზეთ „Times“-ის კორესპონდენტი ამ საქმის შესახებ საყურადღებო ამბავსა სწერს. მისის აზრით, კარნომ ეხლა იმ მდგომარეობამდე მიაღწია, როცა კაცი ამაყობს და ჰფიქრობს, მე სწორედ რომ საჭირო ვყოფილვარ ერის კეთილ დღეობისათვისაო. სხვათა შორის კორესპონდენტს აწერილი აქვს ერთი სცენა, რომლის მოწმეთაც თითონ ყოფილა. ერთხელ გრევის სტუმრები ჰყავდა ელისეს სასახლეში. ერთი სტუმარი ლაპარაკობდა, ოსმალეთში უნდა წავიდე, ხონთქარსა ვნახავ და ველაპარაკებიო. გრევიმ უპასუხა: ხონთქართან ლაპარაკი ძლიერ საყურადღებოაო. სტუმარმა სთქვა: ჩემის აზრით, ის დიდება და განუსაზღვრელი უფლება, რომელიც ხონთქარს ხელთ უპყრია, არ შეიძლება მავნებლად არ მოქმედობდეს მის გონებაზედ, რა გინდ ჭკვიანი კაციც იყოსო; ყველა ხონთქარი დიდის ამაყობისა გამო უეჭველად ჭკუაზედ უნდა შეიშალოსო, დასძინა გრევის სტუმარმა.—იმედი მაქვს მაგასვე არ იტყვით პრეზიდენტთა შესახებაო, ჰკითხა გრევიმ. რაც შეეხება პრეზიდენტებსაო,—უპასუხა სტუმარმა,—მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თუ ვინმე მათგანი სიამაყისაგან ჭკუაზე შეიშალა, ეს შეშლა დროებითი იქმნებაო. გრევიმ ვეღარაფერი უპასუხა და ლაპარაკი შესწყდა. ცოტა ხანს შემდეგ გრევი გადააყენეს სწორედ იმ სიამაყისათვის, რომელსაც მისი სტუმარი ხონთქრებსა სწამებდა.

ერთმა დიპლომატმა გადასცა ამ კორესპონდენტს ტულონის დღესასწაულებზედ წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვები, რომლისაგან ვითომდა სჩანს, რომ ეხლა კარნოს უფრო საჭირო კაცად მიაჩნია თავისი თავი რესპუბლიკისთვის, ვიდრე უწინ. კორესპონდენტი ამბობს ბოლოს, კიდევ სხვა საბუთებიც ხელთა მაქვს ამ აზრის დასამტკიცებლად, მაგრამ მათი გამოქვეყნება ჯერ-ჯერობით მოუხერხებლად მიმაჩნიაო.

## თეატრის მატიანე

ამას წინად პარიზის საოპერო თეატრში წარმოადგინეს ახალი ოპერა ჰალევისა „იერიშით მისვლა წისქვილზედ“. შინაარსი ამ ოპერისა გადმოკეთებულია ზოლას ერთ მოთხრობიდგან, რომელსაც იგივე სათაური აქვს.

პირველი მოქმედება სწარმოებს მოხუც მერლეს წისქვილში. წისქვილში დიდი დღესასწაულია. მერლემ თავისი ქალი ფრანსუაზა მიათხოვა თავის თანაშემწეს დომინიკს. დომინიკი ჰოლანდიელია. არც სახლი აქვს, არც კარი. სამაგიეროდ დომინიკი ახალგაზდაა, ჯან-მრთელი, მშრომელი და მშვიდი; ფრანსუაზას ძლიერ უყვარს და მოხუცი მერლე დიდად კმაყოფილია ამ ქორწინების. კმაყოფილია ამ ქორწინებით მერლეს მოხუცი მოახლე მარსელინი და ქორწილის მზადებაშია. ნიშნობას მთელი სოფელი დაესწრობა. გაიმართება ნადიმი, მხიარულება... უცბად დაჰკრეს განგაში... აღმოჩნდება, რომ ომი გამოცხადდა და ყველა ახალგაზდანი ჯარში უნდა წავიდნენ. ყველანი დაღონდებიან და შინ წავლენ. მარსელინი სწყევლის ყველას ვინც ომი მოიგონა, რადგანაც მას ორი შვილი მოუკლეს ბრძოლის ველზედ. დომინიკი, როგორც უცხოელი ჯარში არ მიჰყავთ და შინა რჩება თავის ფრანსუაზასთან.

მეორე მოქმედება. მტერი დაეცემა წისქვილს. საფრანგეთის ჯარი დამარცხდება და უკუ იქცევა. დარჩებიან წისქვილში მხოლოდ მოხუცი მერლე და დომინიკი.—გამოჩნდებიან გერმანელნი, შეიპყრობენ დომინიკს და უბრძანებენ, წინ გაგვიძეხ და გზები გვიჩვენეო. დომინიკი უარზეა. გერმანელნი წისქვილში ჩაჰკეტავენ და დარაჯს დააყენებენ. ფრანსუაზა შეიპარება წისქვილში და დომინიკს იარაღს მიუტანს. საღამოთი დომინიკი თოფით მოჰკლავს დარაჯს და გაიქცევა. თოფის ხმაზედ მოგროვდება მთელი რაზმი გერმანელთა ჯარისა. ნახავენ მოკლულს დარაჯს, გასინჯავენ წისქვილს და რა-კი დომინიკ შიგ არ აღმოჩნდება, მიხვდებიან, დარაჯი იმას მოუკლავსო. შეიპყრობენ მოხუცს მერლეს და უბრძანებენ: დომინიკი მოგვგვარე, თორემ შენ მოგკლავთო. დომინიკი ჩუმად დაბრუნდება წისქვილში ფრანსუაზას სანახავად. ფრანსუაზამ არ იცის, რა ჰქნას. მამა დასთმოს თუ საქმრო. ბოლოს მერლე ურჩევს დომინიკს, წადი, ჩვენი ჯარის ერთი რაზმი მოიყვანე და მტერს დაეცეთო. დომინიკიც ასე მოიქცევა. მოიყვანს ჯარს, მტერს თავს დაეცემა, გაიმარჯვებს და „ვაშას“ ძახილით შემოიჭრება წისქვილში... მაგრამ უკვე გვიან არის, მერლე მოჰკლეს კიდეც გერმანელებმა.

## გასართობი

ჰარლეი რომ პარლამენტის უფროს პრეზიდენტად დანიშნეს, მივიდნენ პროკურორები და მფარველობა სთხოვეს.—ჩემს მფარველობასაო,—უპასუხა ჰარლეიმ,—ავაზაკები ვერ ეღირსებიან და პატიოსან კაცებს ხომ არ ესაჭიროებათ.

—

„თუ ექვსისათვის არის, მეშვიდესაც ეყოფაო,—სთქვა ერთმა მუქთა მჭამელმა, რომელიც ერთს ოჯახს სადილზედ შეესწრო. სადილად ექვსნი ისხდნენ.—მართალია, თუ მაგას სანთლების შესახებ ამბობო, უპასუხა მასპინძელმა.

—

აბბატმა მორელემ სთქვა: „თუ სადილად შემწვარი ინდოურია, უეჭველად ორნი უნდა იყვნენ სადილად. უამისოდ ვერა ვჭამ. დღეს სადილად ინდაური მაქვს და ორნიც ვიქმნებით: «მე და ინდოური».

## უცხოეთის წვრილი ამბავი

სწორედ რომ გასაოცარია, რა სისწრაფით იბეჭდება უოკელივე ახალი ამბავი თავის შესაფერის სურათებით ამერიკის გაზეთებში. დილის 10 საათზედ რომ რომელიმე საყურადღებო ამბავი მოხდეს, ეს ამბავი შესაფერის სურათებით საღამოს 5 საათზედ უკვე დაბეჭდილია გაზეთებში. ყველა გაზეთის რედაქციაში გამართულია ტელეფონები. ტელეფონთან გამართულია ლინოტიპის მანქანა, რომელიც აწყობს ტელეფონით გადმოცემულს ამბავს. აქვე სხედან მხატვრები. ყურს უგდებენ ტელეფონს და აქვე ხატავენ სურათებს. გადასცემენ ფოტოგრაფს და შემდეგ ცინკოგრაფიით იბეჭდება. ამ გვარად კლიშეს მომზადებისთვის საჭიროა სულ ორი საათი. მაგრამ თუ საქმე მოითხოვს, შეიძლება კლიშე სულ 40 წამზე დამზადდეს.

—

ამერიკის ერთს შტატში, სახელდობრ კოლორადოში დედაკაცთ სრული საპოლიტიკო უფლებანი მიენიჭათ.

1877 წელს შტატის ამომრჩეველთ კანში ჰკითხეს, მივანიჭოთ ქალებს საპოლიტიკო უფლებანი თუ არაო. ამომრჩეველთა კრებამ დიდის ხმის უმეტესობით უარი განაცხადა დედათაის უფლებათა მინიჭებაზე.

დედათა უფლების მომხრეთ მაინც იარაღი არ დაჰყარეს და მათმა შრომამ და მეცადინეობამ უქმად არ ჩაიარა. ეხლა ამ შტატის პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომლის ძალითაც ქალებს სრული საპოლიტიკო უფლებანი მიენიჭათ.

ეს კანონი დამტკიცებულ იქმნა 5000 ხმის უმეტესობით.

—

რადგანაც უკვამლო თოფის წამალი გამოიგონეს, ზოგიერთ სახელმწიფოს მთავრობამ გადასწყვიტა, ჯარის კაცთა ტანთ-საცმელის ფერი უნდა შეიცვალოსო. გერმანიაში, მაგალითად, მთავრობას უკვე უბრძანებია, როგორც აფიცერთა, აგრედვე ჯარის კაცთა ტანისამოსი ნაცრის ფერი უნდა იყვესო. საფიქრებელია, რომ სხვა სახელმწიფოთა მთავრობანიც ასე მოიქცევიან.

## გამოსადეგი ცნობა

—

ტკბილეულობისა, სასმელებისა და სხვა საღებავთა შორის მრავალი ძლიერ მავნებელია. განსაკუთრებით ისეთ წამლებს უნდა ერიდოს კაცი, რომელშიაც ურევია სპილენძი, კალა, ტყვია, ვერცხლის წყალი, ხრომი, კადმი და სხვ.

მხოლოდ შემდეგი საღებავი წამლები სრულიად უვნებელია:

ლაჟვარდ ფერისთვის—ინდიგო, ბერლინის ლაჟვარდი და ულტრამარიანი. ეს წამლები შეიძლება ერიოს ქვემო ჩამოთვლილ წამლებს და ამ გვარად სხვა-და-სხვა ფერის საღებავი გაკეთდეს.

წითელი ფერისთვის—კოშენილი, კარმინი, კარმინის სანდალოზი, მრაზილიის სანდალოზი, არსეილი, ჭარხლის წვენი.

ყვითელი ფერი—ზაფრანა, ავინიონის თესლები, Rhamus infectorius, კვერციტრონი. ხოლო ყველაზედ უკეთესი ავინიონის თესლია.

მწვანე ფერისთვის—საჭიროა მხოლოდ ყვითელისა და ლაჟვარდის ფერის წამლები ერთმანეთში აურიოთ და მწვანე-ფერის წამალი გაკეთდება.

ხოსანის ფერისთვის—ლაჟვარდისა და წითელის ფერის წამლები აურიეთ.

მიხაკის ფერისთვის—დამწვარი შაქარი და მირტკბილას წვენი.

შავის ფერისთვის—ჩინეთის ნახშირი.

# დეპეშა

26 ნოემბერი

**ბერლინი.** საიმედოა, რომ რუს-გერმანელთა დელეგატები შეთანხმდებიან სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ.

ანტისემიტებმა შეიტანეს პარლამენტში ის აზრი, რომ უცხოელთ აღეკრძალოს გერმანიაში ახალგაზდობის აღზრდა და სწავლება.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,65 | 7,65 | ,, |
| ტფამოყნის კუპონები | $152\frac{3}{4}$ | $153\frac{1}{2}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | , | $245\frac{5}{8}$ |
| —მეორისა | | — ,, | $222\frac{1}{2}$ |
| 4% მესამე სესხისა. | -- ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | ,, | — ,, | $190\frac{3}{4}$ |
| ქირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა 6% | 100 | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 100 | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | 99 | ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების | $97\frac{1}{2}$ | | — ,, |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 ს 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ. დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვორო სსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


## განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის უფასო სამკურნალოში, რომელსაც განაგებს ქუთაისის სამკურნალო საზოგადოება, მიიღებენ ავადმყოფთა 11 საათიდგან 2 საათამდე დღისით შემდეგნი მკურნალნი: ა. ა. ბელანჟე, ი. მ. ბენედიქტოვი, მ. ა. ვორონოვი მ. გ. ძნელაძე, ლ. პ. იზმაილოვი, ს. ნ. ლორთქიფანიძე, ნ. ვ. ლუმეცკი, დ. ა. ნაზაროვი, გ. გ. სოკოლოვსკი, მ. ა. ფენოტერი, ს. ი. ხეჩინოვი და ვ. ვ. შენგელიძე.

სამკურნალო იმყოფება ბალახვნის ქუჩაზე, სტეფანოვის სახლში.

(3—3)

---

### კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—129)

---

გამოვიდა და ისყიდება ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის მაღაზიაში და სხვაქალაქებში, სადაც-კი ქართული წიგნი იყიდება

## თამარიანი

ისტორიული პოემა

შაირ წყობილად თქმული

თ. ს. გუგუნავას-მიერ

მეორე გამოცემა

ფასი 50 კაპ.

## გამოსადეგი ცნობანი

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა

**დილაობით იღებენ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—$10\frac{1}{2}$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, $10\frac{1}{2}$—$11\frac{1}{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

**ი. ф პროტასევიჩი**, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი $12\frac{1}{2}$—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—$1\frac{1}{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით მიიღებენ:**

**ი. გ. ჩეპურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. გურკო**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

**ქ. ი. ფრანციუსი**, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

## „ჩიკაგო“

წინანდელი სასტუმრო „დანია“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად **„ჩიკაგო“**

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

### ფასი ოთახების

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი

(25—1018—20)

---

Maison HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs

31 et 33 Rue Boinod, პარიჟი.

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

**ხელობადა აქვს ორთქლის მაშინების კეთება.**

| განიერი ნახევრად მოძრავი | მაღალი ნახევრად მოძრავი | მოგრძო უძრავი |
|---|---|---|
| ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით. | 1-დგან 100 ცხენის ძალით. | 1 ანუ 2 ცილინდრით 3-დგან 250 ცხენის ძალით |




ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება.

(3—2)

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 50 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 75 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 75 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვლობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7\frac{1}{2}$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ОБЪЯВЛЕНІЕ.

СЪ НОЯБРЯ сего года ИМПЕРАТОРСКОЕ КАВКАЗСКОЕ ОБЩЕСТВО Сельскаго Хозяйства будетъ издавать взамѣнъ «Трудовъ“, еженедельную газету

### „КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и Экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оргинальныя и переводныя) по полеводству, скотоводству и молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч, 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоры литературы русской и иностранной по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6 Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о цроизводствѣ и потребленіи селск-хозя. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь. 12 Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между Обществомъ и хозяевами Кавказа; съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и, во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Газета издается подъ наблюденіемъ совѣта Общества особою редакціонною комиссіей. Популярныя статьи будутъ помѣщаться въ видѣ особыхъ приложеній къ журналу не только на русскомъ, но, по возможности, и на туземныхъ языкахъ.

Въ отдѣлѣ „вопросы и отвѣты“ газета, нри содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или въ Общество.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ доставкою и пересылкой:

| | |
|---|---|
| въ годъ | 4 р. |
| ½ года | 2 р. |
| ¼ года | 1 р. |
| 1 мѣсяцъ | „ 40 к. |

Отдѣльные №№ по 10 к.

За перемѣну адреса 30 к.

За напечатаніе объявленій на послѣднихъ страницахъ платится отъ строки петита въ столбцѣ (въ страницѣ два столбца) по 10 коп за первый разъ и 8 олъ за послѣдующіе разы. За цѣлую страницу въ двѣ колонны 10 руб., п журстраницы—6 руб. На первой страницѣ—цѣна вдвое. За пересылку прп журналѣ отдѣльныхъ объявленій, каталоговъ, прейсъкурантовъ и пр. взимается по соглашенію.

**ПОДПИСКА и ОБЪЯВЛЕНІЯ** принимаются въ Тифлисѣ, въ бюро Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства (Барятинская ул., собствен. домъ).

Редакція помѣщается тамъ же и открыта для личныхъ объясненій ежедневно, кромѣ праздничныхъ и воскресныхъ дней, отъ 10 до 12 часовъ дня.


Доз. ценз. Тифлисъ, 26-го Ноября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე